პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ᲪᲘᲡᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲡᲘ, 1989 წ. № 137 (10 056) ● ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

1989

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები ოქროს ოლიმპიადის და პარალიმპიადის დიდებულ ტრიუმფზე

საქართველოს სპორტსმენთა მონაპარი:

ოქროს მედლები

● ᲬᲧᲐᲚᲗᲒᲘᲚᲐᲕᲐᲠᲔᲯᲘᲡᲢᲔᲑᲘ (ᲒᲠᲣᲞᲐ ᲜᲘᲜᲔᲜᲓᲘᲒᲐᲜ ᲢᲝᲛᲘᲗ) — ᲜᲐᲗᲣᲜᲐ ᲙᲝᲠᲙᲘᲔᲚᲘᲐ, ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘ. ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲪᲕᲐᲠᲯᲕᲘᲜᲘ (ᲢᲝᲛᲘᲗᲘ) — ᲡᲝᲤᲘᲝ ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲔ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲘᲓᲝᲛᲝᲑᲐ ← ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (68 ᲙᲒ).

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

● ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲘᲓᲝᲛᲝᲑᲐ — ᲛᲔᲠᲐᲑ ᲕᲐᲚᲘᲔᲕᲘ (ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ).

ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

● ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲪᲕᲐᲠᲯᲕᲘᲜᲘ (ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲕᲐᲠᲯᲕᲘᲜᲘ) — ᲡᲝᲤᲘᲝ ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲔ; ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲘᲓᲝᲛᲝᲑᲐ — ᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲕᲘ (62 ᲙᲒ); ᲐᲚᲐᲙᲘ ᲠᲘᲮᲕᲘᲫᲔ (90 ᲙᲒ).



გიორგი ბინიაშვილი

ხათუნა კორკელია

ᲬᲧᲐᲚᲗᲒᲘᲚᲐᲕᲐᲠᲔᲯᲘᲡᲢᲔᲑᲘ (დნეპროპეტროვსკი). როგორც ოქრო, გავეხარხარეთ წყალმოშველიებებზე. ასპარეზობის ბოლო დღეს ტრამპლინიდან ხტომაში საქართველოს სპორტსმენებმა ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. გოგონათა ხტომის უძლიერესი იყო ხათუნა კორკელია, რომელმაც უკან მოიტოვა ბელორუსიასა და მოსკოვის ოლქის წარმომადგენლები ს. კობიაღოცი და ნ. ივანოვა. მრავალჭიდში ხათუნა V იყო, რადგან შეკრებაში ორი დღის სრულად ისპორტა სულაოდნად ვერ შეძლო. ტრამპლინიდან ხტომაში ჰპირველობდა შორის ყველა დაჯაბნა ლენინგრადის გუნდის წევრმა ვასილი ბუდორაგამ — მანაც ახალგაზრდული თამაშების ოქროს მედალი მიიღო. ვერცხლის და ბრინჯაო შეასპამისად გ. სმირნოვსა და დ. პეკოვართან ერგო. საქართველოს კიდევ ერთი წარმომადგენელი გუნდი პეტრუხინი ამ სახეობაში IV ადგილზე გავიდა, მრავალჭიდში კი მან V ადგილი დაიკავა. დავძენთ, რომ სამივე ფოტოზე სპორტსმენი პროფკავშირთა სპორტსახოგადოების ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილაობური სკოლის მოსწავლეა. ისინი ფოთის საწყვილნოსო ბაზა „იალთა“ დამოტატინენ მწვრთნელების ვიქტორ მელნიკოვისა და თამაზ ლაგვილავას ხელმძღვანელობით.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ბელორუსია, 2. მოსკოვი, 3. რსფსრ, 4. საქართველო.

ᲑᲐᲚᲐᲜᲯᲘᲜᲒᲘ (დონეცკი). თბილისის 183-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელ სოფიო მანაგაძისთვის (მწვრთნელები — ნაილი ბუ-

სოფიო მანაგაძე.

რჯანაძე, რუსუდან სიხარულიძე, სერგო მურადაბანიანი) 15 ივლისი იღბლიანი გამოდგა. ამ დღეს მას 13 წელი შეუსრულდა, დონეცკის სპორტის სასახლეში შეკრებილმა მსაჯებმა, შეკიბრების მონაწილეებმა და მაყურებლებმა გულთბილად მიულოცეს ქართველ ტანმოვარჯიშეს დაბადების დღე, სანუკვარიც მიაჩრავეს, მაგრამ სოფიკომ... თავად მოუმზადა სიურპრიზი საკუთარ თავს — მან ხტომებში ოქროს მედლით დაამშვენა პეტრუხი, ხოლო თანრეყიად ვარჯიშში ბრინჯაოს მედალი დაითმაურა. ფეხრის ვარჯიშში იგი VIII იყო.

როგორც ვთქვით ზემოთ, მრავალჭიდის ცალკეულ ტურნირებში რვა საუკეთესოს შორის საქართველოს ჭიაკეებიც გამოდიოდნენ. სამწუხაროდ, პრიზიორთა შორის ვერც ერთი მათგანი ვერ მოხვდა. სპორტის ოსტატთა პროგრამით მოსპარეზე გიორგი ზაჩიძეს რვალებზე წინასწარი შეკრებებისას მესამე შედეგი ჰქონდა, მაგრამ ფინალში შეცდომა დაუშვა და სამბოლოდ VIII ადგილზე დარჩა. ვალერი ოყანეიშვილი სამ ათეკრებას გამოდიოდა. ორმეტრა ეკი IV იყო, ტანჭვა — VII, თოფისუფალ ვარჯიშში — VIII.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამაში ილია ვაშაკიძე რაოლებზე ვარჯიშში V ადგილზე გავიდა, ტაკეზე კი VII იყო. ხტომებში ჩვენებ გიორგი კოსტანაია ინ ასპარეზობდა და VI შედეგი აჩვენა.

ამით ტანმოვარჯიშეებმა ასპარეზობა დაამთავრეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ეკვილიული ასე გამოიყურება: 1. ბელორუსია — 1150 ქულა, 2. უკრაინა — 995, 3. რსფსრ — 547, 4. ყაზახეთი — 419, 5. უზბეკეთი — 366, 6. საქართველო — 249.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲘᲓᲝᲛᲝᲑᲐ (დონეცკი). საქართველოს სპორტულ ულაბას ოდევ ერთი ოქროს მედალი შეემატა. იგი თავისუფალვი ტლით მოიპოვეგ გიორგი ბინიაშვილმა მოაპოვა 68 კგ წონით კატეგორიაში. გორელი ფალავანმა ეს პირველი წარმატება რადია, შარშანწინ მან ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, შარშან ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობის მეორე პიზიორი გახდა, ახალგაზრდებს შორის საკავშირო პირველობის ორგზის გამარგვეულია, მაგრამ ამ თამაშობეზე მოპოვებული ოქრო მისთვის ზანაც ყველაზე ძვირად ფასობს. საქმე ის გახლავთ, რომ გიორგიმ პირველ ორთაბრძოლაში (ესტონელ ვიქტორ ფეიფმანთან) ტატამა მიიღო, ეკმიშენა მოიოხორკვილ შეკიბრებიდან მისი მოხსნა, მაგრამ ჯუნდის ინტერესებისთვის ქართველმა მოჭიდავემ გადაწყვიტა ჭიდაობა გეიგრძელებინა. ჯიეველი ორთაბრძოლის წინ მას ტატამეის გამაყუჩებელ ნეშბას უკეთებდნენ. მიუხედავად ამისა, პირველ სამ წუთში სუფთად დაამარცხა ფეიფმანი, თბილისელი ჯობა დაგუზაშვილი და ევროპელი გიგიც არაჩვეულებრივ, IV-VI წუთებში კი ქულებით მოუგო ლენინგრადელ რუსლან სპირეას, ჰპერბაიჯანელ ასევე ასტრას, მოსკოველ ალან ბაღირეეს და ფინალში გავდა, სადაც ოქროს მედლისთვის ლეონელ სერეკი გიგოლას დაუპირისპირა ფარ-ხმალი.

იხ. 30.2 ᲒᲒ



ახლახანს ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში გაიმართა ზორის ზეშებურთული ბიათლონისტთა ტურნირის „ლურჯების თასის“ სახელწოდებით. ამ პრეტენზიულ ასპარეზობაში წარმატებას მიაღწიეს თბილისის 85-ე საშუალოსწავლებული სკოლის მოსწავლეებმა.

ეს, აქ თასით დაფოტოგრაფებულნი ჩვენი რესპუბლიკის წარჯანაველები.

(იხ. 30.8 ᲒᲒ.)

მედლები. მედლები...

მედლებისთვის ბრძოლა თამაშებზე ნაცნობი სიუჟეტით ვითარდება: რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიისა და მოსკოვის დელეგაციები დაწინაურებულან. შორს არიან და უმთავრესად სპრაზო ადგილების განაწილებისთვის იბრძვიან. სხვებზე უკეთ გამოიყურებიან რუსეთის სპორტსმენები, რომლებსაც პირველობას აღბათ ვერც ერთი მეტოქე ვერ შეეცილება. აი, მეორე და მესამე ადგილებისთვის კი უფრო მძაფრი და დაძაბული ბრძოლა მოსალოდნელი.

საქართველოს სპორტსმენებს, რომლებიც ჯერჯერობით მეექვსის ადგილზე იმყოფებიან მეტოქეობას უწევენ ლენინგრადისა და ყაზახეთის წარმომადგენლები. ლენინგრადს ჩვენზე უფრო მეტი მედალი აქვს მოპოვებული. მაგრამ პირველი ადგილების ხათვლაში მას უსწრებს. ყაზახეთი კი მედლების საერთო ჯამითაც ჩამოვარდება და უმალოესი ხუთეულის რიცხვითაც.

	ო ვ. ბ. სულ
5. ლენინგრადი	14 18 21 53
6. საქართველო	17 15 16 47
7. ყაზახეთი	9 8 15 32

ამ ცხრილში შეტანილი არ არის გუშინდელი დღის შედეგები.

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

თავისუფალი ხტომის მოჭიდავეთა შეკიბრებაში საქართველოს ნაკრების წევრმა, ძმიმეწონიანში მერაბ ვალევმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. მის თანაგუნდელებს ოქრო ჩაბიძეს და გიგა ბაკურაძეს გადაეცათ ბრინჯაოს მედლები. საერთო გუნდურ ჩხილაში საქართველოს ნაკრებმა III ადგილი დაიკავა.

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიისა და საქართველოს სსრ პროფესიონალური კავშირების საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ᲪᲘᲡᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲡᲘ, 1989 წ. № 137 (10 056) ● ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ამ წლის 15 ივლისსა და 16 ივლისის დამდეგს ქალაქ სოხუმში მოსახლეობის აფხაზ და ქართველ ეროვნებათა შორის მოხდა შეტაკება, რის შედეგად არის მსხვერპლი, დაშავებულები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

გამოვეკვამთ რწმენას, რომ ამ რთულ ვითარებაში აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მთელი საქართველოს მშრომელები გამოიჩენენ კეთილგონიერებას, საღ აზრსა და დიდ პასუხისმგებლობას. ყველას ზნეობრივი კეთილი, ჩვენს წინაპართა ხსოვნას, ვისთვისაც ყველაზე მაღლა დგას მშვიდობა და თანხმობა მშობლიურ მიწაზე, ვინც ფიქრობს თავის ბალშსა და მის მომავალზე, ზელი შეუწყოს პარტიულ, საბჭოთა, სამართლადაცვით ორგანოებს წუსრულს აღდგენასა და ვითარების სტაბილიზაციას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲒᲐᲜ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲒᲐᲜ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲒᲐᲜ

საკავშირო ასპარეზობული სპორტული თამაშები



მერაბ ვალიევი



აკაკი ჩხეიძე

გიორგი ჭანკვეტაძე

გორა მაკოცია.

(დასასრული)

57 კგ წონით კატეგორიაში თბილისის, გუნდის წევრს დავით სიასურს ორი მოგება ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ამდენჯერვე დამარცხდა და შეჯიბრების გამოეთიშა. ძონი ბერდა ქაიხიაძე დათო ბეღლიანიძეც.

კახა ჭანთაძემ (82 კგ) ორივე შეხვედრა წააგო, აკაკი გაბედიანს კი შეღლუბისთვის ბრძოლის კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ სამწოლიარე VI ადგილს დასჯერდა.

100 კგ წონაში ბესიკ ბურდულაძე V ადგილისათვის ორთაბრძოლაში მოსკოველი ჭიმაღ ჭიმბოლოვი დაამარცხა, რაშაც ბუზარიძეული კი ქვეჯგუფში ბოლო ორი შეხვედრა წააგო და ასპარეზობას გამოეთიშა.

დასასრულს უახლოვდება შეჯიბრებები დანარჩენ 5 წონით კატეგორიაში. თბილისის გუნდის წევრმა ნუგზარ საყირიამ (52 კგ) ორი შეხვედრა მოიგო, ორიც წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა. გ. მაყოფეი (62 კგ) ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოლებს. მესამე წევრი შეჯიბრებას გამოეთიშა კახი გვეტაძე.

74 კგ წონაში მწვრთნელები დიდ იმედს ამყარებდნენ გია ივანიშვილზე, მაგრამ მან სულ ახლახანს ხელი მესამე წრიდან მაყურებლებში გადაიხვეწა. IV წრეში მისი ბედი გაიხარა კახა გოგოლაშვილმა (ბათუმი), ყირგიზეთში შეთამაშებული დატოგა საქართველოს გუნდის დებიუტანტის ადგილი ჩხაიძე (90 კგ) გამოსულან. მან ქვეჯგუფში მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო და ახლა III ადგილისთვის იბრძოლებს. მეორე ქართველმა მოეჯიდავემ ზაზა ბერნიაშვილმა ორივე შეხვედრა წააგო.

მძიმე წონაში საქართველოს ნაკრებს ორი მედალი ეკუთვნის. მოუხედავად იმისა, რომ აქ ორთაბრძოლები ჭერ არ დამთავრებულა, ბრაზეთის მედლის მფლობელი უკვე ცნობილია — იგი გახლავთ საქართველოს გუნდის წევრი გიორგი ჭანკვეტაძე. მეორე ქვეჯგუფიდან მეორე ადგილზე გასული ანტონი მორგაშვილი (ყაზახეთი) ორ შეხვედრაში მსაჯებმა ასპარეზობიდან მოხსნეს სამი ავადმყოფობილების გამო. ამიტომ, ახალი წესების მიხედვით, მან ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლის უფლება დაკარგა.

რაც შეეხება ოქროს მედალს, მის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრების ერთი წევრი შეიძლებოდა ვალიევი იქნებოდეს. მან დიდი უპირატესობით დაამარცხა აკაკი ბაქრაძე (თბილისი), სერგეი ტიმოშენკო, მაღიდ ხუნდატუე, ანტონი მორგაშვილი და ფინალში ჭაბუკთა შორის შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონს ანდრეი შემილინს შეხვედება. ბაქრაძე მეორე წრიდან გამოეთიშა შეჯიბრებას.

ქვეჯგუფის ფინალური ტურნირზე გაიმართა წინასწარი ტესტის უკანასკნელი შეხვედრები. მართალია, ჩვენს გუნდს ჩათვლებული ჰქონდა ეს ტესტი, მაგრამ მისი მეტოქე უნდა გამოელინებულიყო აზერბაიჯანისა და უზბეკეთის ჩემპიონებისა. ამავე „ა“ ჯგუფის მეორე წყვილი (მოლდავეთი — რსფსრ) მაყურებლისთვის ითამაშებს. წყვილები გამოვლენილები 21 ივლისს ერთმანეთს შეხვდებიან კრასნოიარსკში, დამარცხებულები კი — ალთაისკენ. „ბ“ ჯგუფის ნაბედვარფინალში ისპარეზობენ აზერბაიჯან-მოსკოვისა და ტაჯიკეთ-ბელორუსის გუნდები.

ფინალური ასპარეზობა, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ დადგებიან „ა“ და „ბ“ ჯგუფების გამარჯვებულები, შეიკრიბა 23 ივლისს კრასნოიარსკში, დამარცხებულები კი იქვე მესამე ადგილისთვის იბრძვიან დღეს გამართავენ ბრძოლას.

კატასტროფა (სიმფეროპოლი). ასპარეზობის ბოლო დღეს რსფსრ-ის სპორტსმენებმა დიდი და „მშრალი“ ანგარიშით — 21:0 დაამარცხეს აზერბაიჯანელები, დაიგროვეს 12 ქულა და ოქროს მედლები დაისაკუთრეს. საქართველოს კატბატორულებმა ბოლო ტურზე მოიგეს ლენინგრადელებს — 23:10. ჩვენს სპორტსმენებს 5 მოგების შემდეგ 10 ქულა დაუგროვდათ, მაგრამ მედლების მოსპოვებაზედ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ამ დღეს უკრანელებმა დაამარცხეს ლატვიელები — 23:10, უზბეკებმა — მოსკოველები — 17:4 და მათაც 10-10 ქულა დააგროვეს. საკუთარი პირველობის დებიუტის თანახმად, საქონი გახდა ამ სამ გუნდს შორის დამატებითი ტურნირის ჩატარება პირნინგანის თამაშით. ამ ყველას უკრაინელებმა ჯობეს — მათ ჯერ უზბეკებს მოუგეს — 9:5, შემდეგ საქართველოს ნაკრებს — 12:6 და ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ. „ბრინჯაო“ წილად ხვდათ უზბეკებს, რომლებმაც დაამარცხეს საქართველოს გუნდი — 13:5. ჩვენი სპორტსმენები IV ადგილზე გავიდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელებმა, ასე ვთქვათ, შეასრულეს პროგრამა მინიმუმი. როგორც ვიცით, ისე ქალები გეთამაშების ფინალში გავიდნენ. ვიტყვით უკრანიის ძლიერ გუნდთან დამარცხების შემდეგ (15:24), მეორე მატჩში (ამჯერ დროს ეს წინასწარი ტურნირის დასკვნითი შეხვედრა იყო) სომეთის ნაკრებთან 3-ქულიანი უპირატესობით გაიმარჯვეს — 26:23 (17:13). ეს თამაში ჩვენი გუნდის სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და ჯი წინ, ვიყვანით კიდეც 7-8 ქულით, მაგრამ ბოლო წუთებში მწვრთნელებმა სამბიკეთ ტაქტიკა ცვლეს და ეს ტაქტიკა ლატვის, მოსკოვისა და ესტონეთის კოლექტივებში. ისინი სწორედ ამ თანმიმდევრობით ითამაშებენ ჩვენს ნაკრებთან 18, 19 და 20 ივლისს. მეორე ნახევარფინალურ ჯგუფს შეადგენენ ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და ლატვიის გუნდები. ჯგუფებში ორორი გამოჯგუფული ნაკრები შეჭიდება ერთმანეთს ორ-ორ მატჩში (ყაზახეთთან — 27:22), ხოლო ორი წაგების (ლენინგრადთან — 18:27 და ლატვიასთან — 21:22). ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები შეხვდება აზერბაიჯანის (18 ივლისს), ორჯერ ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ.

ქალთა წინასწარი პაექრობა ლენინგრადელთა გამორჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილზეა ლატვიის, მესამეზე — საქართველოს გუნდი. ჩვენმა ხელბურთელებმა ერთი მატჩი მოიგეს (ყაზახეთთან — 27:22), ხოლო ორი წააგეს (ლენინგრადთან — 18:27 და ლატვიასთან — 21:22). ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები შეხვდება აზერბაიჯანის (18 ივლისს), ორჯერ ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ (19 ივლისს) და ლიტვის (20 ივლისს) გუნდებს.

თამაშების ეკო

კაცი იმედით ცხოვრობს...

IV საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მშვილდოსანთა ტურნირში, რომელიც სუფსა ჩატარდა, საქართველოს წარმომადგენლებმა სამივე ტიპისების მედალი მოიღეს და სიურთულეზედ ჩათვლეულმა მესამე ადგილი დაიკავეს. თამაშების ჩემპიონი გახდა მშვილდოსან გოგონათა ნაკრები, რომლის ეირსებას იცავდნენ ხათუნა ქვრივიშვილი, სულიკო თოფურია და ნატო ნახარაძე (ზუნაზე შემადგენლობაში გამოდიოდა კიდევ ერთი მონაწილე, ბათუმელი ლანა ვეროველიძე, მაგრამ ფინალებს თანაბრად ხათელას იძლეოდა სამი საუკეთესო შედეგი და ამიტომაც ოქროს მედლები ზემოჩამოთვლილ მშვილდოსნებს გადაეცათ).

გოგონებმა, გარდა ამისა, თავი გამოირჩინეს პირად ასპარეზობაშიც. იგიგი ხათუნა ქვრივიშვილი ვერცხლის, ხოლო სულიკო თოფურია ბრინჯაოს კილდაებს დაეუფლნენ. ქვრივიშვილიც და თოფურიაც თბილისის სპორტსკოლების მაყვანა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომსელქსული სპორტული სკოლის (დირექტორი ელდარ ფარჯანელი), ხოლო ნახარაძე უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელები არიან (სამივე „ზრომთა რეზერვებს“ წარმოადგენს).

და კიდევ ერთი დეტალი. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ პაოლიელებად შეკრებილ ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლების წარმომადგენელთა მიჩვეულებები. აქ პირველი ადგილი თბილისის, სპორტსკოლების სკოლის მიეკუთვნა. ამ დღეებში „ლელოს“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ლადოძეძრ ლეკვეიშვილს და სთხოვა მას პასუხები გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● ქმაყოფილი ხართ თუ არა თამაშების შედეგებით?

— რა თქმა უნდა ეარ. მით, უფრო, რომ გვქონი ერთი ბრინჯაოს მედალი და გუნდურ ჩათვლაში მეოვე ადგილი გვქონდა გათვალისწინებული. ამ მაჩვენებელზეს, როგორც ხედავთ, საკმაოდ კომპლექსი ვიყავით, რაც ჩვენი მშვილდოსნების კარგ მომზადებაზე მეტყველებს.

● კარგი მომზადებაო რომ ახლენო, ვინ გაყავთ მშვილდოსნებში? გოგონათა გუნდი, თუ მთლიანად მშვილდოსანთა ნაკრები?

მარცხნიდან: ნატო ნახარაძე, სულიკო თოფურია, ხათუნა ქვრივიშვილი და ვლადიმერ ლეკვეიშვილი (მწვრთნელი).

— ცხადია გოგონათა გუნდი, რომელიც, დასამატო რაა, ჭაბუკებს დღესასოვს დიდად უსწრებს წინ.

● ჭაბუკები რომ უკეთ გამოსულიყვნენ შესაძლოა უკეთესი გუნდური ადგილიც გვქონოდა. ასეა თუ არა?

— განსაკუთ თავად. საქართველოს დელეგაციას საერთო ჩათვლაში 134 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გასულ რუსეთის ნაკრებს კი 141 ქულა ჰქონდა. როგორც ხედავთ, ამ შეხვედებაში რესეთის მშვილდოსანთა უპირატესობა სულ 7-მა ქულამ გადაწყვიტა.

● შეიძლება ქულა მართლაც მცირე უპირატესობაა და დასანანია, რომ ამ სპეციალობაში ვერ მოიპოვეთ.

— ეროთ რამ შინდა ეცოდეთ. თამაშებში უკრაინამ და რუსეთის ფედერაციამ სამ-სამი კოლექტივი გამოიყვანა, ჩვენ კი მხოლოდ ერთი. ამან ჩვენი შესაძლებლობები ერთგვარად შეამცირა. ყოველ რეპუბლიკას რომ თითო გუნდი ჰყოფნოდა, ალბათ უკეთესი გუნდური შედეგებით გვექნებოდა, მაგრამ ეს უკვე მარჩიელობის სფეროა, ჩვენი საუბარი კი ეფუძნოს, მხოლოდ ფაქტებზე, ძალთა რეალური შეფარდებაზე უნდა იყოს. დაყრდნობილი.

● ვის გამოკვეთილი გუნდი სხვებზე უფრო მეტად?

— არავის გამოყოფა არ მინდა, ვინაიდან მიმაჩნია, რომ გუნდის ოთხივე მონაწილემ მოხდენილებითა და თავგანწირვით იბრძოლა.

● მაშინ შეიძლება სხვა კუთხით დავსვათ, როგორი შთაბეჭდილება დატოვეს სპეციალობებზე ჩვენმა მშვილდოსნებმა?

— ყველაზე ერთმნიშვნელოვანი, და ეს ჩვენ ძალზე გვახარებს, ხათუნა ქვრივიშვილის წარმატება. ამ გოგონას სპეციალისტები თამაშების აღმოჩენად თვლიან.

● როგორი შედეგები ჭონდა ბანაგება ქვრივიშვილს?

— საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ ახალგაზრდული თამაშები ქვრივიშვილისთვის საკვდრო სარბენელზე პირველ გასვლა იყო. ნიშნეირმა გოგონამ კარგად ჩაატარა ღებიტები, ვერცხლის მედალიც ღასაკუთრა და სპორტის ოსტატის ნორმატივსაც საგანმანოდ გადააჭარბა. არა და იგი ასპარეზობის ერთგერთ ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო. ქვრივიშვილი ჯერ მხოლოდ 15 წლისაა. ამ ასაკში კი ასეთ წარმატებას მშვილდოსნები იშვიათად აღწევენ.

● რამდენიმე სიტყვა ჭაბუკი მშვილდოსნების შესაძლებლობებზე.

— ჭაბუკთა გუნდი პრასპექტიული სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. გოგიტა გომძარელი, დავით ლეკვეიშვილი, თეიმურ გოგოშაძე და სერგო ბერიაძე სპორტის ოსტატები არიან, აქვთ მოგებული ცენტრალური სპარტაკიადის პრიზეტორობები და სხვა ტურნირები, მაგრამ სავორო საკვდრო დონეს ისინი ხუთაასჯერ მიზეზების გამო ჩამორჩებიან. ჭაბუკთა მშვილდოსნობას აქვს ვარაუდული პრობლემები, რომელთა გადაჭრა ჩვენი უპირველესი ვალია. მით უფრო, რომ სწორედ ეს გუნდი, ეს შემადგენლობა უნდა მოფუძნოდეს ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის. ვიცი იმედით ცხოვრობს და ჩვენც არ ეკარგვით იმედს, რომ უახლოეს მომავალში ყველა პრობლემას გადაეჭრით.

კონსულტაცია

შეკითხვა: 1982 წელს დავამთავრე უმაღლესტრის ინსტიტუტი ვეშაობ სანიტრის ბაზაზე სართავ უბარაკში უმაღლესტრის მეთოდისტად. კოლექტივი 1000-მდე მუშა მოსამსახურეა. ვთხოვ განმარტოთ რამდენი მეცნიერის თვეური ხელფასი?

მუხარ კოჭლაძე,
სანიტრე.

პასუხი: შრომით დაწესებულებებში ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის ხელფასი ეძლევათ საწარმოს შრომის დაცვისა და ტექნიკის უსაფრთხოების სახსრების ფონდიდან ნატაძისა და კატეგორიის მიხედვით. ინსტრუქტორ-მეთოდისტს, რომელსაც აქვს ამ პროფილით 5 წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, გაიარა შესაბამისი ატესტაცია და ეძლევა რეკომენდაცია მუშაობის გასაგრძელებლად — თვეში მიეცემა 125 შანეთი.

მეთოდისტს, რომელსაც აქვს 3 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი, ეძლევა 115 მანეთი; თუ სტაჟი ერთ წელზე მეტია — 105; საწყისი ხელფასია — 96 მანეთი.

• • •

შეკითხვა: 1989-90 წლებში არის თუ არა მოსალოდნელი ფიზიკური კულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის ხელფასის მომატება?

თამაზ ანთია,
სოფ. მეორე წარჩა,
გალის რაიონი.

პასუხი: ეს საკითხი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური კომიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კათედრის ხელმძღვანელ ალექსანდრ ნოზაძეს მისი შესწავლილი საკითხი

სსრ კაშხირის თასზე

ბაშხი თბილისის ქ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შეხვა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 49-ე გათამაშების (1989-90 წლების) განმეორებით მეთექვსმეტედფინალური მატჩი. თბილისის დინამოელებმა მიიღეს ნამაწყის „ნოგახხორი“.

თბილისელებს პირველი თამაში ამ გუნდთან მოგებული ჰქონდათ - ანგარიშით 5:0. გუშინდელი შეხვედრაც დინამოელთა უპირატესობით წარიმართა — 2:0.

ბურთები გაატანეს ფანქილოვამ და კაჭარავამ.

სტატისტიკისა ბლოკნოტში

● **I ლიგის** ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების პირველი წრის ბოლო ტურში სტადიონელისა და ბათუმის დინამოელთა შეხვედრაში (2:1) ბათუმელთაგან ბურთი გაიტანა ბიგვავამ.

● **ლვოვის** ასკ „კრასტის“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩში, რომელიც ქუთაისელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0, ბურთი 23-ე წუთზე გაიტანა მეგრელაძემ. გავლითისელის ტორპედოელი ფეხბურთელები ნაღირიძე და ჰასპია.

● **ლიპის** ბომბარდირთა შორის კვლავინდებურად წინაა ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი მ. მეგრელაძე, რომელმაც 16 ბურთი გაიტანა. 2 ბურთით ნაკლები გაიტანა სტავროპოლელმა ს. ოსიპოვმა, ხოლო მოსკოვის ასპარეზობა გ. მასალიტინმა — 13. ბომბარდირთა ხუთეულშია, აგრეთვე, ლანჩხუთის „გეურიის“ მთამაშე ვ. ქორდანია — 11 ბურთით.

ახლა — ფინალი

ლენინგრადში დამთავრდა „სიჭაბუკის თასის“ ნახევარფინალური გათამაშება ფეხბურთში. როგორც გაიწყვეთ, ფინალში თამაშის უფლება ამ ქვეყნიერიდან წასასვლელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს, მეორე ფინალისტის ვინაობა უხდა დაეკისკვეშინა სპორტელისა და ბელორუსიის თანაბარია შეხვედრას. ჩვენი რუსპუბლიკის წარმომადგენლებს ფინალის საჭიროს მოსაპოვებლად ფრეც აძლევდათ ხელს. დაძაბულმა თამაშმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ფრე — 0:0. საკართველოს ნაკრები ფინალში ასპარეზობს.

დაწყებული იყო სპეციალური პრობები. საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი გადაეცა ზურაბ ჩაბაძეს, ტურნირის საუკეთესო თავდასხმელად მიიჩნიეს ჯუმერი ჩიხუა. ჩვენი ნაკრების ეს ორი მოთამაშე, ალრეთვე, თემურ ჩლაიძე და ზურაბ უშვიერიც „სპპრთა კაშხირის ჭაბუკთა ნაკრებში ჰიმშვიან. საქართველოს ნაკრება ამ შეჯიბრებისათვის მოამზადა მწვრთნელებმა ვალერი ნადირაძემ და ნუგზარ ჩიტაიამ.

ფინალური ასპარეზობა 10-დან 20 აგვისტომდე ბელორუსიის ქალაქ მოგილოვში გაიმართება.

ჰელსინკის თასი

ფინეთის დედაქალაქში გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ტრადიციულად და ამჯერად მეათხელებულად ჩატარდა. ამ შტატდ სანტტურნირო, მასპინძელ ფეხბურთელებ მოხანწილეობდა 23 ქვეყნის 544 გუნდი. ტურნირი მიმდინარეობდა ერთფეროვან 10 ასაკობრივ კატეგორიაში, მათგან შვიდი მიჭედნისეის იყო და სამი — ვოკრნეშინოვის. სულ ჰელსინკში თვი მოიყარა 8ქ-დან 17 წლის ასაკის 9 ათასამდე ფეხბურთელმა.

თამაშები, ბუნებრივია, მიმეინარეობდა ბაყშეთათვის დაწესებული ე. წ. შემოკლებული რეგლამენტით, მაგრამ ნორჩ ფეხბურთელებს მაინც საკმარისი დაეთმოთ დაეწყო ფინალში გასულმა გუნდებმა, მაგალითად, 10-10 თამაში ჩაატარეს.

სსრ კავშირი ჰელსინკის თასის“ ტურნირში 6 გუნდით იყო წარმოდგენილი. ორი მათგანი, ლატვიის წარმომადგენლები, წარუვამტებლად გამოვიდნენ და ფინალში ვერ მოხვდნენ, დანარჩენები გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის აროიან.

ძლიერად თამაშეს 16 წლის კიევის დინამოელებმა, რომლებმაც ფინალში დიდი ანგარიშით დამარცხეს ბრაზილიის ჭაბუკ სან-პაულოს „კოკეი“ — 4:0.

წარმატება ხედათ წელად 13 წლის ლენინგრადელ ბიჭუნებს (სპორტკლუბი „ქიმიკი“). მათ ანგარიშით 2:0 დამარცხეს ხტალის „პრიმეიერა“. ამ ასაკში ბრინჯაოს მედლები ერგოთ კიევის დინამოელებს. ნახევარფინალს მიაღწია სოჭის ბავშვთა საფეხბურთო კლუბის გუნდმა, რომელმაც დამატებითი პენალტებით წააგო ჩიელს გუნდთან.

გოგონებს შორის სამივე ასაკში გაიმარჯვეს ფინეთის გუნდებმა.

ლინეკერი შინ ბრუნდება

ესპანელთა ფეხბურთით ჩემპიონატის დასასრულს ინეიერ გიბუეთში გამოჩნდა ცნობა, რომ ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი ჰარი ლინეკერი თავს ანებებს „ბარსელონას“ და შინ ბრუნდება.

ჰ. ლინეკერი ცნობილი ბომბარდირია, ინგლისის ნაკრების შეკაზეულობაში მან 32 ოფიციალურ მატჩში 29 ბურთი გაიტანა, მაგრამ ამ ფეხბურთელს საჭიროა ესპანეთის ჩემპიონატში ასეთი მიღწევები არ აღინიშნებოდა, გარდა ამისა, მას ზშირად ჰქონდა ოსიამოვნებანი „ბარსელონის“ მწვრთნელთან ა. ტრუფიეთან.

ჰ. ლინეკერი ამჟამად 28 წლისაა, მას რამდენიმე მოწვევა აქვს ინგლისის კლუბებისგან, მაგრამ, როგორც იტყობინებიან, ჰ. ლინეკერი, ალბათ, „ტოტენჰემში“ თამაშობს.

უცხოეთის ამბები

● **1990 წლის** 8 ივნისს მილანში, „სეიცას“ სტადიონის მწვანე მოედანზე, საზეიმოდ გაიხსნება ფეხბურთელთა მორაგი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. ასპარეზობას დაწყებამდე დარჩენილ დროს, რომელიც უმთავრესად ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას დასჭირდება, იტალიის გაზეთები „ფეხბურთის წელს“ უწოდებენ.

● **შვიცარიის** საერთაშორისო ფეხერაციის ექიერალურ მდივანს ოზეფ ბლატერს მიაჩნია, რომ 100-ათასიანი სტადიონების აშენება სულაც არ არის საჭირო, ვინაიდან ბილეთების რეალიზაციით შემოსულ თანხას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. არადა, მეორე ხომის სტადიონებზე უბილეთ შემთვევათა საშიშროებაც ერთნაირად უფრო ნაკლები იქნება.

„ლირსების თასი“ — ლირსეულთ

ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის თბილისის 5-ე საშუალო-ზოგადი საფეხბურთო სკოლის წარმატებების საფბაი ჩვეულებ ამბავია. დედაქალაქის ეს ტიტულოვანი სკოლა საკავშირო ასპარეზზე ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია. ამ სკოლის ბევრი აღზრდილი დღეს წარმატებით იცავს რესპუბლიკის მაღალი რანგის გუნდების ღირსებას. მომდინარე IV ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებზე ამ სკოლის ფეხბურთელები ცოლქმედის მოწინავე ბიძგებს წარმოადგენენ. სწორედ ასეთი მახვილებელისათვის. შარშანდელ სპორტული სკოლების საკავშირო დიპლომატიურ-აღზრდილებმა ოლიმპიურ ტურნირში ასპარეზობა მიიღეს. ამ ტურნირში ასპარეზობის შესახებ ვთხოვეთ მოეთხრო თბილისის სპორტკომიტეტის ფეხბურთის გაყოფილების უფროსს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს, **ავთანდილ კოკაიას**, რომელიც ჩვენს ფეხბურთელებს გუნდის უფროსად ახლდა.

— როგორც მოგეხსენებათ, ინსბრუკი ჩვენს დედაქალაქთან და კავშირებული. აღბათ ესეც იყო მიზეზი, რომ ტურნირზე ავსტრიაში სამჭიროთა ქვეშირიდან მხოლოდ ჩვენ მივაწვდეთ. „ღირსების თასი“ — ასე ერქვა აქ გამართული პირველი საერთაშორისო ტურნირის, რომელის სპონსორი ამ ქალაქის ერთერთი მსხვილი ბანკი და ფირმა „კოკა-კოლა“ იყოფენ.

● **ვინ მონაწილეობდა ამ გათამაშებაში და თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით ტურნირის მონაწილეებზე და ორგანიზატორებზე.**

— ჩვენი გუნდის გარდა მონაწილეობდა ოცოთმეტი კოლექტივი. ესენი იყვნენ ავსტრიის ბავშვთა საფეხბურთო სკოლების სამი გუნდი, შვეიცარიის ტურნირის კლუბები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლები.

ჩასვლისთანავე ხათელი გაგვა, რომ ორგანიზატორებს არაფერი დაუშვებიათ ჩემობანსტები ტურნირის მაღალ სპორტულ დონეზე ჩასატარებლად. ამაზე მოწმობს ისიც, რომ ჩასვლისთანავე ნორჩ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს გემრიებით გაფორმებული პროგრამები და ათასნაირი სუვენირები გადასცეს. ყველაფერი ისე იყო, როგორც ჩამდეგილ დიდ ფეხბურთს შეეფერება. ტურნიის მიწაზე მასპინძლებმა საუკეთესო პირობები შეუქმნეს ტურნირის დასვენებისთვის. ჩვენს გაკარგულებაში იყო უდიდესი სპორტული კომპლექსი აღუჯარელი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით, ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელებს და ნორჩ ფეხბურთელებს შეკვეს ბაზაზე ოცნება თუ შეეძლებოდათ.

● **როგორ წარიმართა ასპარეზობა?**

— დავიწყებ იმით, რომ ჩვენი მეტოქეები ერთმანეთს ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ. ისინი ბევრ სხვა ტურნირებში შეხვედრიან ერთმანეთს. ეს ნაცნობობა უშუალოდ მინდორზეც ვიხილეთ. ორგანიზატორთა თხოვნით აქ რამდენიმე თამაშის მსაჯობაც მომიწია და, უნდა ვთქვა, რომ მეტად ცმაყოფილი დავრჩი. 12-13 წლის ჭაბუკები ბროფესიონალი თავისზე ბევრად უფრო კოლეგებს ვიხილეთ. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ბიჭებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს, თამამად ისე, როგორც ეს ხშირად სპორტდასჩენის შეიძლება. ქვეყნდეგ ოცდათოთმეტკომანდიან ტურნირზე დაამარცხეს „ტსკა ლანდსბერგი“ (გერ) — 2:0, „სპ ბალეშბურგი“ — 4:0 და ბოლო მატჩში, ქვეყნდეგში მიენიჭებელ „ბავარიას“ სძლიეს — 1:0, დაიკვეს პირველი ადგილი და დანარჩენი ორი ქვეყნდეგიდან გამარკვებულებს „სკ ინსბრუკს“ და „ცსკ კიმიტს“ შეხვდნენ. პირველი დაამარცხეს — 2:0, ხოლო „კიმიტენთან“ ფრეს — 1:1 დასჯერდნენ. მათ 3 ქულით პირველი ადგილი დაიკვეს და ტურნირის გამარკვეულებს სახელი მოიპოვეს. საკუთარსა ბომბარდირის პრიზი ჩვენს მოთამაშეს მერიან რუხაძეს გადაეკვა. მან 5 ბურთი გაიტანა.

● **როგორ დაკომპლექტდა ტურნირის გამარკვეული 32-ე სკოლის გუნდი?**

— შეჯრილობა ოთარ შენგელიამ თბილისში საწყისტნელ შეკრებაზე თავი მოიყარა სკოლის ზემონახსენები ასაკის იმ მოთამაშეებს, რომლებიც ამ ტურნისთვის საკუთარსა სპორტულ ფორმაში იყვნენ. ჭებით მოდებით მოვისინჯეთ მისი ასასელექცია ალლო, ყველა ფეხბურთელი ტურნირზე კეთილსინდისიერად ასრულებდა შეკრთნელის მოთხოვნებს, ასევე მაღალ ღირსებით ატარა 35-ე სკოლის შეკრთნელები სოსო სირაძე და თემურ ლორთქიფანიძე. რომელთა დისპრედელებითაც ჯგუფის გუნდი.

● **რა ხელმები აქვთ გამარკვეულებს?**

— „ღირსების თასი“ ამის შემდეგ ყოველ წელიწადს ჩატარდება. ტურნირის ორგანიზატორებმა მოგკანთის თხოვნით, რომ გასულ კვლევ მოგვეკო მოწვევა, ასევე რამდენიმე მოწვევა ქვეყნდეგ გერმანიის ფეხბურთელთა სკოლის მოსაწვევად. მოიწვანეს, რომ ამ კონფერენციის მონაწილეებისთვის მოსკოვის სპარტაკის „სპორტში“ დღემდე არ დაუკვეშეს ადგილები (?!).

ორგანიზატორ იმედს გამოვხვამს, რომ ვისაც ეს ეხება, ახლა მაინც მოკიდებს ხელს საქმეს და არ დაბრკოლებს ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ელიტის „ჯეშინის“ კონფერენციის მუშაობას.

იტალია-90



მსოფლიო ჩემპიონატი

კრაკოვი სახლობ-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები მა ბრიის ზონის VI შესარჩევ ჯგუფში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ინდონეზიის გუნდი და პირველ ადგილზე გავიდნენ.

ახლა ფინალური შეჯიბრებში მონაწილეობას მიიღებენ რეგიონის ზონების შემდეგი გუნდები: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, კატარი, საუდის არაბეთი, სამხრეთ კორეა და ჩინეთი.

● **ახლა კი გთხოვთ გამარკვეულთა გვარები გაცნოთ ჩვენს მკითხველებს.**

— ვესტრაში თამაშობდნენ მირიან პატკოთა, მერაბ ჯიბუტე, მაზარე მინდიაშვილი, ლევან მხეიძე, ალექსანდრე ბრძანელი, გიორგი ვარდანიშვილი, ლევან მალრაძე, ვლადიმერ ლუდუმაური, გოგი თოფაჭიშვილი, დავით ხუცუბნელი, ვალერიან კოტორაშვილი და ედიშერ ადეიშვილი. თოთხმეტივე ფეხბურთელის ფირმა „კოკა-კოლას“ წარმომადგენლობა სპორტული ინვენტარი გადასცეს.

ესაუბრა ზაზა ქახაძე.

* * *

სურათებზე: ეს ფოტოები, რომლებზედაც მე-3 სკოლის ფეხბურთელები არიან ალბედნიერნი, გამოკვეულნი ტროფიების ულოცველ ურ სპორტულ გაზეთ „ვეორტ ულ ამ მონგაკვში“.

შორია იალბუზიდან ევერესტამდე?

დიდ სპორტსმენია ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონის შტატის ქალაქი სიეტლი, რომელშაც შეკრებას ათეული წლის 11 თებერვალს უნდა უმასპინძლოს. მოსალოდნელია, რომ იქ ზაფა მსოფლიოს 50 ქვეყნის 2500 სპორტსმენი, რომლებსაც სპორტის 21 სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

კეთილი ნების სპორტული სტუმარი იქნება მომხსენებლთა ინტერნაციონალური ჯგუფი, რომელიც ამ უდიდეს სპორტულ მოვლენას მიუძღვნის მეტად რთულ, მაგრამ ამავე დროს საპატიო ასულს. მსოფლიოს "მესამე პოლუს" კომორნიგმაზე (ევერესტი, 8848 მ). ეკმპედიცია შედგება ჩინელ, ამერიკელ და საბჭოთა მთამსვლელებისაგან და მას "მსოფლიოს ასული ჯომოლუნგმაზე" ჰქვია. იგი გაიმართება 1990 წლის 25 ფებრუარიდან 9 ივნისამდე. მარშრუტი — ჩრდილოეთ უნგარიაზე (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) გაივლის.

ამ დიდებულ ეპოქის მწვერვალ რეინჯერზე (4392 მ) გაიმართება მომავალი ექსპედიციის წევრთა ვრთობილი საწვრთნო ასული. იგი იმითაც ნიშანდობლივი, რომ ამ ადგილში სამი ქალი მონაწილეობდა. ესენია : 26 წლის პროფესიონალთა გიდი ტენ ჟუ, 27 წლის ირკუტსკელი გეოლოგი ვალერიანა ივანოვა და 32 წლის ხალხის ამკრძალინსპექტორი ია ვერხე უფლო.

საბჭოთა მთამსვლელთა ვაკუმბა ჯერ ამერიკელებთან ერთად, ხოლო შემდეგ ჩინელ სპორტსმენებთან ერთად დალაშქრეს მწვერვალი. ამ ასულებში შემოწმდა მთამსვლელური აღჭურვილობა. რომელიც აღმინისტრაცია აზრით, საფრანთ კორეკტირება-შემსუბუქებას მოითხოვს. ექსპედიციის წევრები საბჭოური ყინულსაღა და კლდის ბალიტინებით აღიჭურვებიან. თურმე ეს უკანასკნელი ამერიკულზე (8 კგ) გაციელებით მსუბუქია — 3,3 კგ.

ექსპედიცია სპაზო ბანაკს გაშლის 5.100 მ-ზე, სადაც 15 ტონა ტვირთს იტანენ, აქედან 10 მომდევნო სამუალედო ბანაკი — "ვეა", სულ 7 ასეთი ბანაკი იქნება.

დაბოლოს, საბჭოთა მხარემ ექსპედიციის მონაწილეები ერთობლივ საწვრთნელ სწავლებებზე მოიპატიჟა (სექტემბერი) ალტაზე, სადაც მზადების მეორე ეტაპი ჩაივლის.

ისპ ფსიქიონი და ლეჟონდი

პარიზი. საერთაშორისო მრავალდღიანი ველოსპორტული "ტური ორ ფრანსის" შეთოთამეტე ეტაპი, რომლის სიგრძე 238 კილომეტრს შეადგენდა, პოლანდიელმა იელ ნიდამმა მოიგო. ეს უკონეული ველოსტანცია მან 6:27.55-მა დაფარა. ფინიშთან ჯერიკ მიიჭარა ფრანგი პასკალ პუასონი, შესაბე — ბელგიელი ედი პლანკერტი, მეოთხე — ირლანელი ვინსონ ფიდჯერალდი (ჩამორთ ველოსიპედისტი გამარჯვებულს 2 წუთით ჩამორჩა).

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობას ფრანგი ლორან ფინონი (66:39,08) ინარჩუნებს. მეორე ადგილზეა ამერიკელი ჯერეკ ლემონდი (ლიდერთან სხვაობა — 7 წამი), მესამეზე — ლიდერის თანამემამულე შარლ მოტე (სხვაობა — 57 წამი).

რედაქტორი

თ. ბაქრაძე.

ჟურნალისტიკის სპორტული განყოფილების თანამშრომლები ასულებისათვის

პროფესიონალების კომიტეტებისა და საბჭოების უფლებების დაფიქსირების დამატების დონისძიებების შესახებ საკავშირო პრეზიდიუმის 1983 წლის 13 მარტის № 2-ნ დადგენილების საფეძველზე პროფკავშირების სისტემის სპეციალიზებული სტრუქტურულ ორგანებსა და ქვედანაყოფებს მინიჭებული აქვთ შემდეგი უფლებები:

პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებში:

— პროფკავშირული კრების (კონფერენციის) მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე განაკუთონ საკუთარი სამეურვეო ანგარიში კულტურულ-სპორტული ობიექტების შენარჩუნებისა და ჯანმრთელობის ცენტრების, კემილოზურობის დასაფინანსებლად.

— ვასცენ დანამატები ფიზკულტურული მუშაკებზე შრომის ანაზღაურების მოქმედი განაწესებულობის საფუძველზე (კრების, კონფერენციის) გაიმწყვეტილებით პროფკავშირული საწევრო ანარიცხების ერთი მესამედის ფარგლებში.

— მიიღონ მიმდინარე ანგარიშებზე სამეურვეო და სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების საწესრები, რომლებიც განკუთვნილი კულტურულ-ჯანმრთელობის დაწესებულებათა.

პროფკავშირების რაიონულურ, ქალაქურ, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში:

— პროფობიუჯეტის საბსრები გაანარჯონ კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურულ-ჯანმრთელობითი ღონისძიებების ჩატარებაზე, სპორტული ნაგებობების შენენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის წილობრივი მონაწილეობის გზით.

— გაეწიონ საზოგადოებრივი და მიეცონ უცხოეთიდან ადგილობრივი ორგანიზაციებისა და პირდაპირი კონტაქტების გზით, უვალუტო გაცვლის საფუძველზე.

—დამტკიცონ სპორტსგაეშვებების წესული შეადგინ გეფორიების განაწილების გეგმები. ზემოაღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე პროფკავშირების წესაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭო განმარტავს, რომ ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებს საზოგადოებრივ საწყისებზე შეუძლიათ მიიღონ ხელფასის დანამატი საზოგადოების საწევრო-ანარიცხებიდან, არსებული ინსტრუქციების შესაბამისად.

ჯგროფკავშირთა სპორტსზოგადოებათა საკავშირო რაიონული კრება ვაშინგტონის შტატის სიეტლის ქალაქის სასტუმროში

ჰენრიკას გედრაიტისის პრობლემები

როგორც ცნობილია, კალნის "ფილტრონის" კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი ელდას გარისტოსი უკვე კარგა ხანია საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსის მწვრთნელად მუშაობს. ახლახან შექმნილმა კლუბის საბჭომ გადაწყვიტა გადაუთხოვნელად იგი "ფილტრონიდან" და მის ნაცვლად ახალ მწვრთნელად 49 წლის ჰენრიკას გედრაიტისი აერჩია. ამ წინასაბჭოთა სპორტსმენებმა ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. შეიცავრეებმა ორი ოქროს მედალი დაისაკუთრეს, იტალიის, საფრანგეთისა და შვეიცარიელ მეტების წარმომადგენლებმა კი თითო.

ბრისნავი. გერმანია და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრები გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენების ხედათ — 228:171. მასპინძლებმა გაიმარჯვეს როგორც ვაკეთ (139:84), ისე ქალთა შეკრებებში (90:89).

ჯასპრობრი. აქ ტარდება სატრაკო ველოსპორტის წარმომადგენელთა შეკრებები მრავალდღიან ველოსრბოლაში. პირველი ეტაპი მსოფლიოს მრავალეტაპს ჩემპიონმა ლენინგრადელმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა მოიგო. 3,5 კილომეტრიან სამოთ ეტაპზე მან 11,29,0 ანგარა.

მონპრიე. ცხნოსანთა საკავშირო ჩემპიონობის შეხვედრე ნინა შენცოვა ამ ტურნირის აბსოლუტურ ჯამარჯვებულადაც გამოცხადებულა. შაბათს მან "დიდი პრიზი" (ტენდერი პროგრამა) მოიგო, კვირას კი ცხენის გაწვრთნის უძველეს კლასში გაიმარჯვა.

ჭკვიანი გოლკიპერები

ლონდონი. „გრან პრის" პროგრამით გათვალისწინებულ კიდევ ერთ საფრთხოვრისო ტურნირში გამარჯვება ოლიმპიურმა ჩემპიონმა სერგეი ბუბკამ. ლონდონის სტადიონ „ქრისტალ პალასზე" გამართულ ტურნირში მან ჯოყით ხტომაში 585 სანტიმეტრი აჩვენა. შემდეგ დონეცკელმა შხტომელმა იერიში მიიტანა ახალ მსოფლიო რეკორდზე, მაგრამ 607 სანტიმეტრი სიმაღლე ვერც ერთ ცდაში ვერ აიღო, კიდევ ცხრა ოლიმპიურ ჩემპიონს და ოთხ მსოფლიო რეკორდსმენს საკმაოდ გაუჭირდა და ვერ შეძლეს კიდეც მიაღწიონდნენ თავიანთ საუკეთესო შედეგებს.

განსაკუთრებული ინტერესი გამოწვია ზემოხსენებულ 110 მეტრზე თარჯიმნებში, სადაც პირველობისათვის ებრძოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი როჯერ კინგოლი და ევროპის რეკორდსმენი ინგლისელი კოლინ ჯეკსონი. ადგილობრივი გულშემატკივრების გახეხორად შესანიშნავი შედეგით — 13.11 გაიმარჯვა ჯეკსონმა (ეს ევროპის რეკორდის გამეორებაა). კინგოლმა შეორე ადგილზე გავდა — 13.34.

მსოფლიო რეკორდის მფლობელი 400 მეტრზე ბრაზილი ამერიკელი ბატრ რეინოლდსი პირველად გამოვიდა ამ სეზონში ტრადიციის ბილეგზე და გაიმარჯვა შედეგით 44.64. 200-მეტრიან დისტანციაზე ბრაზილელმა რობსონ დე სილვამ მოუგო ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ამერიკელ ცელენ სმიტს — 20.08 (სმიტს — 20.33 ჭქონდა).

სამ კილომეტრზე წინააღმდეგობით 800 მეტრზე ბრაზილი პირველი აღმოჩენა დაიკავა კენიელმა: პიტერ კოენჩმა — 8.16,66, და პოლ ერენგმა — 1.43,60; შუბის ტყორცნაში გაიმარჯვა იაპონელმა კაცუხირო მიცოგუმიმ — 85,02.

ნიუ-იორკი. ისტორიაში პირველად ჩატარებულ დაშნით მოჭიდავეებ ქალთა გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს უნგრელმა სპორტსმენებმა, მსოფლიო ჩემპიონებმა ფინალურ ტურნირში ისინი იტალიის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს — 9:3, მეორე ადგილი დაიკავა შვეიცარიის გუნდმა, რომელმაც კუბელებს ჯობა. საბჭოთა სპორტსმენებს ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდნენ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:

ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 880006, თბილისი, ლენინის ქ. 14, ტელეფონებთან — თბილისი, „ლელო",

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ — 98-97-55, ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ — 93-97-53, ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ — 98-97-58, „ᲛᲔᲠᲐᲜᲘ" — 93-97-28, „ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ" — 98-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ:

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ

ᲐᲠᲔᲜᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲗᲕᲘᲗᲦᲘᲠᲘᲜ